ახალი ეტაპი იდეოლოგიურ მუშაობაში

ПРАВДА

9 ივლისის მოწინავე

КОМУНИСТИ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 161 (12673) | ოთხშაბათი, 10 ივლისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენ ვცხოვრობთ იმ დიდი ისტორიული მოვლენების განუმეორებელ დროში, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ არა მარტო ახლანდელ, არამედ აგრეთვე მომავალ თაობათა ბედზე. საბჭოთა ხალხი წარმატებით ეწევა ფართო შეტევას კომუნისტური მშენებლობის ფრონტებზე. და მსოფლიოს კვლავ და კვლავ აოცებენ შესანიშნავი გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა მატერიალური წარმოების, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში.

ჩვენი სამშობლო გრანდიოზული ხომალდივით ავითარებს სიჩქარეს და სწრაფად მიდის წინ. ამ სასწაულებრივი ხომალდის ბოგაზე დგას კომუნისტური პარტია, რომელიც შეიარაღებულია სწორი და საიმედო კომპასით — მარად ცოცხალი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. პარტია ფხიზლად აკვირდება მომავალს და უსახავს ხალხს წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს, აღვიძებს მასებში გიგანტურ ენერგიას, აკავშირებს და რაზმავს მათ დიდებული ამოცანების გადასაწყვეტად.

პარტიის ხელმძღვანელობა, ხალხის დაუშრეტელი რევოლუციური ენერგია კომუნიზმის სრული გამარჯვების საწინდარია. საბჭოთა ადამიანებს დიდად ახარებს და აღაფრთოვანებს დაუცხრომელი და ყოვლისმომცველი საქმიანობა, რასაც პარტია ეწევა, რათა გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის დაუშრეტელი მატერიალური სიმდიდრენი და მშრომელთა მძლავრი სულიერი ძალები XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ პროგრამის განსახორციელებლად. ამას კიდევ ერთხელ მოწმობს ის მხურვალე და ერთსულოვანი მოწონება, რომლითაც ხალხი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების ფართო და ყოველმხრივი განხილვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ამ მუშაობის სრულყოფისათვის დასახული ღონისძიებები ლოგიკური განგრძობაა ღრმა რევოლუციური გარდაქმნებისა, რომლებიც პარტიამ განახორციელა უკანასკნელი წლების მანძილზე ეკონომიკის ყველა დარგისადმი პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობაში.

ჩვენი პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იდეოლოგიურ მუშაობას. რევოლუციური ბრძოლისა და ახალი სამყაროს მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტია ლენინურად ზრუნავდა და ზრუნავს რევოლუციური მასების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლების იდეური შეიარაღებისათვის, თავისი იდეოლოგიური იარაღის სრულყოფისათვის.

კომუნისტური ეკონომიკისა და კულტურის შექმნა, ახალი ადამიანის აღზრდა მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ ძირეულ გაუმჯობესებას, მისი შინაარსისა და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას, მასებზე იდეურ-პოლიტიკური გავლენის ახალი მეთოდებისა და საშუალებების შემოქმედებითს გამოყენებას, იდეოლოგიური პროცესებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

განსაზღვრავს რა იდეოლოგიური საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებებს, პარტია გარეგან ფაქტორსაც ითვალისწინებს. საბჭოთა ხალხის გადამწყვეტმა წარმატებებმა კომუნისტურ მშენებლობაში, სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხის მიღწევებმა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, შექმნეს თვისებრივად ახალი განლაგება კლასობრივი ძალებისა მსოფლიო ასპარეზზე. იმპერიალიზმს ადარ ძალუძს დაამაცხოს სოციალიზმი ომის გზით, იგი ზედიზედ მარცხდება ორი სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაშიც. ახლა იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები მთავარ იმედს ამყარებენ იდეოლოგიურ დივერსიაზე სოციალისტური სახელმწიფოების მიმართ, აღვირახსნილ ანტიკომუნიზმზე, ამასთან უარს არ ამბობენ სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ფორმებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმულია: „ჩვენი ქვეყნის შესვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფრონტის გაფართოება, გაერთიანება, ფეოდალიზმი იდეოლოგიის და კომუნისტური იდეოლოგიის ბრძოლის გამწვავება მსოფლიო ასპარეზზე განაპირობებენ ახალ ეტაპს პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში. ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მოქალაქის აღზრდის პროგრამა განუყრელად დაკავშირებულია გაერთიანებული იდეოლოგიის, საბჭოთა ადამიანების შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან“.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების პლენუმები, პარტიული აქტივის კრებები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს, ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებებს „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ, — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას პლენუმზე, კონკრეტულ ღონისძიებებს სახავენ მთელი იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

„თანამედროვე ეტაპზე მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია, — ამობობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბუჯეუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული აღმოფხვრა, პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნაგდილი სიმდიდრის შექმნა. ასე არის განსაზღვრული ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ხაზი პარტიის პროგრამაში“.

აწარმოოს შეურიგებელი შეტევითი ბრძოლა იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, დაიცვას მშრომელები მისი გამხრწნელი გავლენისაგან, აქტიურად აზიაროს მასები კომუნიზმის დიად იდეებს, მუდამ იზრუნოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, მისი განვითარებისა და გამდიდრებისათვის — ეს მიაჩნია ჩვენს პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად ხალხის წინაშე, თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე.

პარტია მოგვიწოდებს ვაწარმოოთ გაშლილი შეტევა ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ, გავაძლიეროთ პოლიტიკური სიფხიზლე, გადაჭრით აღვკვეთოთ იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიების ყოველი ცდა, მისი მისწრაფება იდეურად და მორალურად განიარაღოს საბჭოთა ადამიანები.

წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრა შორეული მომავლის ამოცანა როდია, იგი უნდა გადაიჭრას დღეს ყველა საშუალებით, რომლებიც მოეპოვება ჩვენს პარტიას, ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუქთახორები, მომხვეჭელები, ქურდები, სპეკულანტები, ბიუროკრატები ჩვენთვის უცხო იდეოლოგიისა და მორალის უკანასკნელი დაფარეხაზე სოციალისტური სახელმწიფოების მიმართ, აღვირახსნილ ანტიკომუნისტურ ფანატიზმ, ეროვნულ-შოვინისტურ ფანატიზმ, ანტისემიტურ ფანატიზმ, ანტიმარქსისტულ ფანატიზმ, ანტიკომუნისტურ ფანატიზმ ებრძოლებიან ჩვენ ფანატიკოსებს, ებრძოლებიან ჩვენ ფანატიკოსებს, ებრძოლებიან ჩვენ ფანატიკოსებს.

ეს ფანატიკოსები

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური განათლების კაბინეტი ქოლმეურნეობაში

სიღნაღი. (საკ. კორ.). ზემო ქედის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შეიქმნა პოლიტიკური განათლების კაბინეტი.

კაბინეტთან ჩამოყალიბდა ლექტორთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ექიმები, მასწავლებლები.

კაბინეტში მოწყობილია სტენდები, გამოფენილია წინსვლის მაჩვენებელი დიაგრამები, სურათები, პლაკატები, მემინდვრეების, მეცხოველეების, მევენახეების თავდადებული შრომის ამსახველი ციფრები და ფოტოსურათები.

საინტერესო საღამო

თიანეთი. (საკ. კორ.). დიდქალი ხალხი დაესწრო კითხვა-პასუხის საღამოს, რომელიც პარტიის თიანეთის რაიკომმა მოაწყო.

კითხვა-პასუხის საღამოზე განხილულ იქნა საინტერესო საკითხები მიმდინარე პოლიტიკიდან, ეკონომიკიდან, აგრონომიიდ ა ნ, ზოოტექნიკიდან და მეცნიერების სხვა დარგებიდან.

ეკონომიური კონფერენცია

ზნაურის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა ერედვის მერძევეობა-მებოსტნეობის საერდენ-სახვენენელ "საბჭოთა მეურნეობაში მოაწყო ეკონომიური კონფერენცია.

დამსწრეებმა მოისმინეს მოხსენებები: საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომის ე. მელქოეკანი — „ქოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაგეგმვა" და აგრონომ შ. ჯაკიეკანი — „შრომის დანორმვა და ანაზღაურება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში".

ორიგე მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

ხ. ცოტნიაშვილი.

ადამიანის სიმართლე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი—მოქმედებაში!

გაზაფხულზე, როცა ძალუმად აცხუნებს მზე და სამუხრანო ყვავილობისათვის ემზადება, დიდი გამოცოცხლებაა ხოლმე მცხეთის მეცენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, განსაკუთრებით იმ ბრიგადაში, რომელსაც აგრონომი თინა სულაბერიძე ხელმძღვანელობს, ამ ბრიგადის წევრებს დავალებული აქვთ ყველაზე რთული საქმე — ვაზის ნამყნის გამოყვანა. უამისოდ შეუძლებელია ახალი ზვრების გაშენება, ისე როგორც არ შეიძლება რაიმე კულტურის მოყვანა საჭირო თესლის უქონლად.

სწორედ მარტში, გაზაფხულის მზიან დღეებში იწყება მყნობა, მაგრამ სანამ ამ საქმეს შეუდგებოდნენ, მზადდება ფილოქსერაგამძლე ჯანსაღი ლერწი და ჯანსაღი კვირტი. თვით მყნობა დიდ ოსტატობას და დაკვირვებას მოითხოვს. ეს ერთგვაროდ ჰგავს ოქრომჭედლის შრომას; საკმარისია მცირეოდენი დაუდევრობა და ნამყენი არ იხერგებს.

ახლადდამყნილ ლერწს აწყობენ ნახერხით სავსე ყუთებში და შეაქვთ სათბურში. ამ თავისებურ ინკუბატორში უნდა შეუხორცდეს ნამყენს ბერლობა. დამყნილი ლერწი დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გადაიქვთ პლანტაჟში, რომელშიც წინასწარ შეაქვთ სამოც ტონაზე მეტი ნაკელი თვითეულ ჰექტარზე.

გაიკლის დღეები, თვეები, და ოქტომბერში ნამყენი უკვე მზად იქნება. მაგრამ ყველა როდი გამოდგება დასარგავად. სპეციალისტების აზრით, ნორმალურ პირობებში პირველი ხარისხის ნამყენი გამოდის დაახლოებით 35 პროცენტი, მაგრამ კარგი მოვლა-პატრონობითა და აგროწესების ზუსტად დაცვით, შარშან ბრიგადაში ნამყენის გადარეგამ 86 პროცენტს მიაღწია. როგორც აგრონომმა კოტე გამყრელიძემ გვითხრა, პირველი ხარისხის ნამყენი უნდა იყოს კარგად ნაზარდი, კარგად შეხორცებული, მძლავრი ფესვებით.

წელს ბრიგადის წევრებს მიცემული აქვთ საბრძოლო დავალება: დაამყნონ და გაახარონ ერთი მილიონი ლერწი. ამ დავალებას დიდი წარმატებით ასრულებენ. მათი მტკიცე პირობა შემოდგომაზე მიიღონ ხუთი პროცენტით მეტი პირველი ხარისხის ნერგი, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

თინა სულაბერიძის ბრიგადის წევრები შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას იჩენენ. აქ აღმოფხვრილია წუნი, სამუშაოს გაცდენა, ზარმაცობა, ფრენობა, დაუდევრობა. საქმით ხორციელდება შესანიშნავი პრინციპი: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

სანერგის სახელოვან კოლექტივს ამ დღეებში ვესტუმრეთ. გავიცანით ადამიანები, დავათვალიერეთ სათბური და პლანტაჟი, რომელშიც წამლად რომ გინდოდეს, ერთ სარეველას ვერ იპოვნი. ყველაფერს კაცის მზრუნველი ხელი ატკვია.

საბჭოთა მეურნეობის მუშებს კარგი გაწყობილება აქვთ, მზისა და ქარისაგან გარუჯულ მათს სახეებზე სიხარული და ღიმილია.

ეს გასაგებია, რადგან თვითეულ მათგანს შეგნებული აქვს ჩვენი ხალხის დიადი მიზანი და საკუთარი წვლილი შეაქვს ამ მიზნის განხორციელებაში. ადამიანთა მაღალი შეგნება და შრომითი თავდადება რომ არა, საბჭოთა მეურნეობა ვერ შეძლებდა 5-6 წელიწადში ექვსასი ჰექტარი ვაზის გაშენებას. როცა ამ წარმატების საფუძველზე ვფიქრობდი, მომაგონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ო. ილიჩოვის მოხსენების ის ადგილი, სადაც ნათქვამია: ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეეგნონო, რომ ყოველი გეგმის წარმატებით შესრულების ყველაზე საიმედო გზაა კოლექტივში ადამიანთა კარგად დაყენებული ადგილი, მათთან ცოცხალი ურთიერთობა, გულისხმიერი ზრუნვა. ეს არის გზა ადამიანის გულისაკენ, შეგნებისაკენ.

ერთი მათგანი, ვინც მართალი სიტყვით პოულობს ადამიანთა გულის გასაღებს, არის ამ ბრიგადის მერგოლური, აგროტექნიკოსი გუგული მელაშვილი, რომელიც მეხუთე წელია საბჭოთა მეურნეობაში დედაკაცის ერთ-ერთი საწარმოდან მოვიდა და მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

როცა შრომისმოყვარე ქალიშვილს პარტიის წევრობის კანდიდატად იღებენენ, მეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ალექსანდრე ბუჩდღლმა თქვა:

—გუგული ჩვენი საუკეთესო აგიტატორია. თვითეული მუშის ჭირი და ლხინი იცის, გულშიჩამწვდომი ადამიანია. ასეთებს ხალხი ენდობა. მისი სიტყვა და საქმე ერთია...

გუგული თვითონ იძლევა შრომისადმი ახლებური დამოკიდებულების ნიმუშს. ვინ მოდის სამსახურში ყველაზე ადრე? — იკითხავთ და აუცილებლად გიპასუხებენ: — ჩვენი გუგული. ყველაზე კარგად ვინ უვლის ნერგებს? — გუგული მელაშვილო, გეტყვიან. ვინ კითხულობს ყველაზე მეტს? ვინ არის ბრიგადაში ყველაზე თავმდაბალი, ამხანაგებისადმი გულისხმიერი და მათი მოსიყვარულე? რა თქმა უნდა, ჩვენი მერგოლურო.

ყოველ ორ დღეში, შესვენებისას ბრიგადის წევრები ხალისით ელიან აგიტატორის მორიგ საუბარს. ეს გულთადი საუბრები ყოველთვის დაკავშირებულია ცხოვრებასთან, წარმოებასთან, ბრიგადისა და თვითეული მუშის ამოცანებთან.

აგიტატორის თხრობა უბრალო და ყველასათვის გასაგებია. მიმზიდველ საუბარში იგრძნობა, რომ გუგულემ კარგად იცის თვითეული მუშის შრომის მაჩვენებლები, მათი ოჯახური მდგომარეობა, იცის თვითეულის ხასიათი. აგიტატორს ახარებს ბრიგადის წარმატება, მაგრამ იგი ზღვრად როდი მიაჩნია:

— რაც გავაკეთეთ, კარგია, მაგრამ მეტის გაკეთება შეგვიძლია. სხვა სანერგეებშიც გულხელდაკრეფილი როდი სხედან. ოდნავ რომ ჩამოვრჩეთ, დავკარგავთ პირველობას, რომელიც იოლად არ მოგვიპოვებია, — აფრთხილებს ამხანაგებს გუგული.

— შენ ეხარ შაქარი, შვილო! — ამბობს ოლა ალიხანაშვილი და მერე ქმაყოფილი უმატებს: — უნდა ვიშრომოთ! უშრომლად ამ ქვეყანაზე, აბა, რა გაკეთებულა...

ბრიგადის სიამაყედ ითვლებიან მოწინავე მუშები ანა რუსტაშვილი, გიორგი ექვსშაურაშვილი, დურმიშხან ირემაშვილი, პავლე სიდამონიძე, ვერა მუხათგვერდელი. თუმცა თინა სულაბერიძე დაბეჯითებით ამბობს, ჩვენს ბრიგადაში ჩამორჩენილი და უხეირო არავინ გვყავსო, მაგრამ უკეთესია შორის უკეთესნი ხომ არიან!

— ყოველთვის ასე იყო? — ვეკითხებით ბრიგადირს.

— არა, ადრე ჩამორჩენილებიც გვყავდნენ, იყო შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მაგრამ მდგომარეობა გამოსწორდა. ამაში ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის ჩვენს აგიტატორს.

მერე გუგულემაც მორიდებულად დაუმატა:

— სამუშაოს ხშირად აცდენდა მარო სოხაშვილი. მე ის მრავალჯერ გავაფრთხილე, ბევრჯერ ვესაუბრე, მაგრამ ამაოდ. საქმე იქამდე მივიდა, რომ დირექციამ იგი სამუშაოდან გაათავისუფლა. ახლა თვითონ მარომ გააბა ერთი ვიშვიში, ბევრი მელაპარაკა, დამპირდა, რომ შეცდომას გამოასწორებდა, სამუშაოს არასოდეს აღარ გააცდენდა. ავდექი და თავდებად ისევ მე დავუდექი დირექციის წინაშე, და არც ვნანობ: მარო სოხაშვილი ახლა კარგად მუშაობს.

— იყო დღეები. როცა სონა როსტაშვილი არ გამოდიოდა ბრიგადაში. ამბავი ვიკითხე, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. მაშინ სახლში ვესტუმრე. თურმე რძალი გახდომოდა ავად და შვილიშვილებს თვითონ უვლიდა. სწორედ მაშინ დავაყენეთ მეურნეობაში საბავშვო ბაგის გახსნის საკითხი. ჩვენთან ცოტა როდია ჩვილბავშვიანი დედები, რომლებსაც სამუშაოზე გამოსვლის საშუალება არა აქვთ. დირექციას ვთხოვეთ ამ საქმის მოგვარება. მალე საბავშვო ბაგას საკუთარი ბინა ექნება.

...უბედური შემთხვევის შედეგად დედას ერთ-ერთი ვაჟკაცი დაეღუპა. ძაძით შემოსილი ოლა ხუბაშვილი დღედაღამ მოთქვამდა, ჯანსაღი ქალი ცოტა ხანში ჩონჩხად იქცა, სახლიდან არსად გადიოდა, ალარც სამუშაოზე ჰქონდა გული.

გუგულემ მორიდებით შეაღო ოლას სახლის კარი, ერთხელ კიდევ უთხრა მას სამძიმარი და იშვიათი ტაქტით აგრძნობინა, რომ ახეთი სულიერი ტრავმისას მარტო მწუხარება როდია მკურნალი. იქნებ სჯობს ოლა ბრიგადაში მივიდეს და სხვებთან ერთად იშრომოს. მისი ვაჟი ხომ მთელ მეურნეობაში განთქმული ტრაქტორისტი იყო და დედამისს არ შეჰფერის საზოგადო საქმეს გამოეთიშოს.

დედის გულში სიცოცხლის ნაპერწკალმა გაიელვა, რომელიც თანდათან გაღვივდა. მე სხვა ზვილებიც დამრჩნენ და ვინ უნდა უპატრონოს მათ, თუ არა მე? მარტო ტირილით საქმეს ვერ ვუშველი, ფიქრობდა იგი. ბრიგადაში არ გაჩერებულიყო, როცა ერთ დილით შავოსანი ქალი სანერგეში დაბრუნდა და ჩვეულებრივად შეუდგა შრომას.

საკვირველი არ არის, ადამიანებს გუგული რომ უყვართ. მასში ისინი ხედავენ კეთილსინდისიერ მუშაკს, რომელიც ყოველთვის ზრუნავს მეურნეობის წინსვლისათვის, უნარი აქვს გასაგებად აუხსნას მათ, რისთვის არის საჭირო ესა თუ ის აგროტექნიკური ღონისძიება, შრომის ახალი მეთოდი, რატომ არის აუცილებელი და მთავარი შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შეუძლია დამაჯერებლად განუმარტოს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

არის შემთხვევა, როცა ადამიანს ეუხერხულება თავის ოჯახურ საქმეებზე საუბარად ლაპარაკი. ამიტომ ისინი აგიტატორს თავიანთ ქირ-ვარამზე ესაუბრებიან ამაში, როცა მათ სხვა არავინ უსმენს. მუშები შეეჩვივნენ გუგულის ხშირ სტუმრობას, მისთვის ღია არა მარტო სახლის კარი, არამედ გული.

ეთერ სისაურის დედამ კარგა ხანს იავადმყოფა. გაუჭირდა ახალგაზრდა ქალს შრომა და ავადმყოფი დედის მოვლა. აქაც მალამოდ დაედო გუგული, მისი თხოვნით მუშათა კომიტეტი დაეხმარა სისაურების ოჯახს.

ანზორ ურთაშვილის სახლი დაეწვა, მაგრამ ამხანაგებმა იგი უბინოდ არ დატოვეს. მალე ურთაშვილების ეზოში გაჩნდა საშენი მასალები, მოვიდნენ ხელოსნები. მუშათა კოლექტივის დახმარებით აღმართა ახალი სახლის კედლები. ურთაშვილებს ახლა უკეთესი ბინა აქვთ, ვიდრე ჰქონდათ.

ამ მაგალითშიც ჩანს ადამიანთა მაღალი შეგნების ნაყოფი.

საბჭოთა მეურნეობაში ხეირიანი კლუბი არ ჰქონდათ. ამაზე მუშებს ბევრი საყვედური უთქვამთ. მდგომარეობა სწორდება. მალე გაიხსნება ახალი კლუბი. უხარია გუგულის. განა ის არ იყო, დირექციას რომ თავი მოახვიოს კლუბის აგებაზე ლაპარაკით?

გუგული მელაშვილი იქ არის, სადაც ხალხია, სადაც უშუალოდ წყდება წარმოების ბედი.

ადამიანებს, რომელთა შორის იგი ტრიალებს, ახარებს მის მიერ გამოშვებული საველე ფურცლები, მიმზიდველი საუბრები, თავდადებული შრომა და ადამიანური ღიმილი.

ღამით, როცა სამუხრანოს მთებზე სიბნელე დაისადგურებს, თავის მყუდრო ოთახში ზის ახალგაზრდა ქალი. იგი დიდი გულისყურით, ჩაჰკირკიტებს წიგნებს და გაზეთებს.

...უმზეოდ ნერგი ვერ იხარებს, ისევე როგორც ადამიანი ვერ იარსებებს, თუ სიმართლეს არ მისდევს. როცა მეგობრები გუგულის უცქერიან, მათ აგონდებათ მზეც და სიმართლეც, ერთ ადამიანში ასე ლამაზად რომ შერწყმულ-შეზავებული.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: გ. მელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

კომუნიზმის მშენებლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეიტანს სამომხმარებლო კოოპერაციას. კოოპერაციის მუშაკები თავდადებით იბრძვიან პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ეს აზრი გამოსჭვივოდა საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის კრების მონაწილეთა გამოსვლებში. კრებამ განიხილა ციკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ნ. ჯავახიძის მოხსენება — „საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში 1963 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობა და გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა ი ს ღონისძიებათა გაძლიერება".

როგორც მომხსენებელმა და კამათში მონაწილეებ მ ა აღნიშნეს, სამომხმარებლო კოოპე რ ა-ციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სოფლის მეურნეობის პროდ უ ქტ ებისა და ნედლეულის დამზადების მოცულობის ზრდის, სოფლის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, კოოპერაციული მრეწველობის, სამომხმარებლო კოოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საფინანსო მდგომარეობის და კოოპერაციული დემოკრატიის შემდგომი გაფართოება-განმტკიცების საქმეში.

საქონელბრუნვის გაფართოებას დიდად უშლის ხელს სავაჭრო ქსელის არადამაკმაყოფილებელი გაშლა რესპუბლიკაში. მთელ რიგ სოფლებში ან სულ არ არის მაღაზია, ან არის ერთი პატარა სავაჭრო, რომელიც მოთავსებულია შეუფერებელ ბინაში.

ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა სავაჭრო ქსელში. ზესტაფონის, წყალტუბოს, გალისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში არის შემთხვევები, როდესაც სამუშაო საათებში დაკეტილია მაღაზიები. გამყიდველები კი პირად საქმეზე მიდიან ან მათ სხვა სამუშაოს აკისრებენ აღგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კამათის მონაწილეებმა: სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. გაზაევმა, ლაჩრუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. სიბაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ ფ. ანანიაშვილმა, აფხაზკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. კოკაიამ, აჭარკოოპკავშირის დაბზაღების სამმართველოს უფროსმა ს. ბერიძემ, შუამიანის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ი. კაზარიანმა, ინგირის მუშათა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ შ. მაკაცარიამ, სოფელ შრომის სამომხმარებლო კოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ს. ჩხაიძემ, „ცენტროსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ხორინმა ილაპარაკეს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებზე.

მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქონლის მოვლა-პატრონობის საქმის გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ბევრ კოოპერაციულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვხედებით საქონლის გაფუჭების შეუწყნარებელ ფაქტებს. მაგალითად, ცხაკაის რაიკოოპკავშირის სისტემაში 27 ათასი მანეთის ღირებულების გაფუჭებული საკონელია. ზუგდიდის რაიკოოპკავშირში სრულიად უვარგისი და წუნდებული საქონლის ღირებულება 150 ათას მანეთს აღემატება. ამ საქმეში დამნაშავე პირები კი დღესაც არ არიან გამოვლინებული. საქონლის გაფუჭებას და ზუნამბალეული მარაგის ზრდას ისიც იწვევს, რომ კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ადგილობრივ კონტროლო-სარევიზიო განყოფილებები და ჯგუფები, შეიცავენ რევიზიების ველი წესი. ახლა რევიზიები ეწყობა კომპლექსური მეთოდით.

მიუხედავად ამისა, ცეკავშირის სისტემაში მაინც არის გაფლანგვა-დატაცების და სხვა დანაშაულებრივი მოქმედების შემთხვევები.

უკანონოდ იქცეოდნენ ცხაკაის რაიკოოპკავშირის ყოფილი ხელმძღვანელები. მიუხედავად ცეკავშირის გამგეობის არა ერთი დავალებისა, მათ მაინც არ გაუუქმეს სოფლის კოოპერატივების განმანაწილებელი საწყობები. ამით ისარგებლა ეკის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ გახარიან და საწყობებს გამგის გელანტიას საშუალებით სპეკულანტ რეალიზაცია დაიწყო თვით კონტროლო-სარევიზიო განყოფილებები და ჯგუფები, შეიცავენ რევიზიების ველი წესი. ახლა რევიზიები ეწყობა კომპლექსური მეთოდით.

მიუხედავად ამისა, ცეკავშირის სისტემაში მაინც არის გაფლანგვა-დატაცების და სხვა დანაშაულებრივი მოქმედების შემთხვევები.

უკანონოდ იქცეოდნენ ცხაკაის რაიკოოპკავშირის ყოფილი ხელმძღვანელები. მიუხედავად ცეკავშირის გამგეობის არა ერთი დავალებისა, მათ მაინც არ გაუუქმეს სოფლის კოოპერატივების განმანაწილებელი საწყობები. ამით ისარგებლა ეკის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ გახარიან და საწყობებს გამგის გელანტიას საშუალებით სპეკულანტ რეალიზაცია დაიწყო თვით

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ციების ხელმძღვანელები მრეწველობიდან ხშირად იღებენ ისეთ საქონელს, რომელიც თავისი ასორტიმენტითა და ხარისხით არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვა, მათი სასაქონლო გადამუშავება, მრეწველობისა და მომხმარებლისათვის მიწოდება. მიმდინარე წელს სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა შეისყიდოს 198 ათას ტონაზე მეტი ხილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, 80 მილიონი კვერცხი, 4.900 ტონა მატყლი, დიდძალი ტყავი, ნედლეული და სხვა. ამ დიდი დავალების პირნათლად შესრულება სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა რგოლის, ყველა მუშაკის ორგანიზებულ, რიტმულ, უმწიკვლო და პატიოსან შრომას მოითხოვს. მაგრამ ჯერ კიდევ გრძელდება ბოროტმოქმედებანი და დამახინჯებანი პროდუქტების შესყიდვა-რეალიზაციის საქმეში, რის შედეგადაც კოოპერაცია ზარალს განიცდის.

ჰ ტ ი ვ ი ს კრებაზე აღინიშნა, რომ ტრესტ „საქკოოპმშენის" მოუქნელი მეუმაობის შედეგად შეუწყნარებლად ჭიანურდება ზოგიერთი საკონსერვო ქარხნის, საგაჭრო და კვების ობიექტების მშენებლობა, შემჩნეულია მშენებლობის ღირებულების გაძვირება. დაბალია მშენებლობის ხარისხი.

დიდი ჩამორჩენაა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში.

კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერებას. უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა მავნე და სამარცხვინო გადამეობათების აღმოსაფხვრელად. გაძლიერდა შინასაუწყებო კონტროლი, განმტკიცდა საკონტროლო-სარევიზიო აპარატის შემადგენლობა, კოოპერაციულ ორგანიზაციებში შეიქმნა საწყობში. 1963 წლის თებერვალში რევიზიის შედეგად გელანტიას აღმოაჩინდა 8.5 ათასი მანეთის ფასეულობათა დანაკლისი. მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობიზე კადრების შერჩევის პრინციპის უხეში დამახინჯების შედეგად გურჯაანის რაიკოოპკავშირის გამგეობამ კოოპგასაღების სექციის საწყობის გამგის თანამდებობაზე მიიღო გაფლანგვასათვის ნასამართლევი, სპეციალობით ზოოტექნიკოსი მახარაშვილი, რომელმაც გაფლანგა 9,6 ათასი მანეთის კოოპერაციული ფასეულობა. აჩიგვარის მუშათა კოოპერატივის საწყობის ყოფილი გამგე წურწუმია 9,4 ათასი მანეთის ფასეულობათა დანაკლისისათვის დაუსაბმრა მილიციამ. როგორც შემდეგში გამოირკვა, მას ჰქონდა დამატებით 7.368 მანეთის ფასეულობათა დანაკლისი.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში გამოვლენებულია გაფლანგვა-დატაცების ბევრი შემთხვევა. ყველაზე დიდი ზიანი კოოპერაციული საკუთრება მიითვისა ახმეტის დამზადების კონტორის დირექტორმა ალდამოვამ. დიდი გაფლანგვები იყო ლანჩხუთის, ბოლნისის, ყვარლისა და არაერთ სხვა სამომხმარებლო კოოპერატივში.

ასამოდენა ფოსტიდან

ბენსიონერები კლანტაციაში

ჩაიხუბნის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობის პენსიონერი კოლმეურნე არსენ ლორია ახალგაზრდული ენერგიით შრომობს, დღემდე 400 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი, წელს სეზონში 1.000 კილოგრამზე მეტ „მწვანე ოქროს" ჩაბარებს სამშობლოს. არსენს მხარს უმშვენებს პენსიონერი ლადიკო ლორია, რომელსაც დღემდე ნახევარ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

ბ. სალუქვაძე.

„უწერა" მომხმარებლებს

მაღალმთიან სოფელ უწერაში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე დგას მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. იგი უშვებს ცნობილ სამკურნალო წყალს „უწერას". აქ ივნისში 35.800 ბოთლი მინერალური წყალი ჩამოასხეს. ამ დღეებში „უწერის" დიდი პარტია გაიგზავნა თბილისსა და ქუთაისში.

ვ. ქასარაშვილი.

ახალი აფთიაქი

ქუთაისში სოხუმის, წულუკიძის და სხვა ქუჩების მცხოვრებლებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. მათ მახლობლად ახალ შენობაში აფთიაქი გაიხსნა. აფთიაქი აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით, დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიციური კადრებით, უზრუნველყოფილია მედიკამენტებით.

ივ. ბუხაიძე.

ეროვნული ეკონომიკა

მაგერიალური დაინტერესების ძალა

ეკონომიურ თემაზე

უკანასკნელ დრომდე საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ანაზღაურებაში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ არ არსებობდა უშუალო დამოკიდებულება ხელფასსა და შრომის საბოლოო შედეგებს შორის. მომუშავეებს ძირითადად ხელფასი ერიცხებოდათ და ეძლეოდათ მუშურ ულებელი სამუშაოს ერთეულისათვის, ან გამომუშავებული დროისათვის.

საბჭოთა მეურნეობებში ამჟამად მოქმედი შრომის ანაზღაურების სისტემის უპირატესობა ის არის, რომ მომუშავეებს ხელფასი ძირითადად ეძლევათ პროდუქციისთვის, მუშაობის კონკრეტული შედეგებისათვის — ყოველი ცენტნერი ხორცის, რძის, მატყლის, ბოსტნეულის, ჩაის ფოთლის, ხილისა და სხვა პროდუქტებისათვის ან მათი ღირებულებისათვის ფულადი გამოხატულებით — ფაქტიური რეალიზაციის ფასების მიხედვით. სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიალური სისტემის არსი.

შრომის ანაზღაურების ახალ წესთან ერთად შემოღებულია საბჭოთა მეურნეობების მუშათა პრემირების ახალი სისტემა, რაც ითვალისწინებს მუშათა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას არა მარტო პროდუქციის საერთო წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არამედ მასზე დანახარჯების შემცირებისთვისაც. მუშათა პრემირება წარმოებს საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებისათვის, მისი ხარისხის გათვალისწინებით, ბრიგადის, რგოლის, ცალკეული მუშის მიერ მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, აგრეთვე გეგმასთან შედარებით პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი დანახარჯების ან მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. მუშათა პრემირება წარმოებს საბჭოთა მეურნეობების ხელფასის ფონდის ანგარიშზე. პრემიის საერთო თანხა წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს ერთი მუშის 5 თვის საშუალო ხელფასს. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მოცემული მეურნეობის, ბრიგადის, ფერმის, რგოლის და ა. შ. მუშაობის შედეგების შეფასებისას წლის ბოლოს უნდა მოხდეს საწარმოო-საფინანსო გეგმის მონაცემების სათანადო დაზუსტება და შემდეგ შედარება საგეგმო მაჩვენებლებისა ფაქტიურთან. თუ მოცემულ მეურნეობაში ან ბრიგადაში გეგმასთან შედარებით ზედმეტი პროდუქცია არის წარმოებული, მაშინ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი სამუშაოს შესრულებასთან. ამიტომ საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული წლის ბოლოსთვის ფონდში გარკვეული ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო. მაგალითად, ცნობილია, რომ მეჩაიეობაში მოლიანად დახარჯულ კაც-დღეების 70 პროცენტამდე მოდის ჩაის ფოთლის კრეფაზე. ცხადია, ასეთ პირობებში ზეგეგმითი ჩაის ფოთლის კრეფა შეუძლებელი იქნება გეგმით გათვალისწინებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

უნარიანად იყენებს რა საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების ამჟამად მოქმედი სისტემის უპირატესობებს, ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მეურნეობა სანიმუშო შედეგებს აღწევს. ეს ითქმის პირველ რიგში ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაზე, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნიჭიერი ორგანიზატორი ი. ფუთურიძე ხელმძღვანელობს. მეურნეობა სისტემატურად ზრდის ჩაის პლანტაციების მოსავლიანობას ჰექტარზე, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ამცირებს თვითღირებულებას და ზრდის წარმოების რენტაბელობას. ასევე ბევრი წარმატება აქვთ მოპოვებული ჩაქვის, ლიათოურის, ანიგვარის, ხეცერისა და სხვა საბჭოთა მურნეობებს. ამ და სხვა საბჭოთა მეურნეობებში მატერიალური წახალისების სისტემას იყენებენ ცალკეული ბრიგადების მუშაობის შედეგების გათვალისწინებით. მაგალითად, ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეხუთე ბრიგადაში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 1962 წელს უდრიდა 77.438 მანეთს, ფაქტიურად კი შეადგინა 80.226 მანეთი, ანუ 2.788 მანეთით მეტი. თანახმად შრომის ანაზღაურების ახლანდელი წესისა ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულების 20 პროცენტი, ანუ 557 მანეთი და 60 კაპიკი, გაიცა ბრიგადის წევრებზე პრემიის სახით. მეურნეობაში წარმოებს აგრეთვე მუშათა პრემირება მოსავლიანობისათვის, გადამწყვეტი ცალკეული ძირითადი სამუშაო პროცესების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ასე არ ითქმის წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობაზე, სადაც სათანადოდ არ იყენებენ შრომის ანაზღაურების ახლანდელი სისტემის უპირატესობას. აქ არ წარმოებს ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულების 20 პროცენტის გაცემა ბრიგადების მიხედვით მუშათა პრემირებისათვის. მეურნეობის № 27 ბრიგადამ, რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადის სპატიო სახელს ატარებს, 1962 წელს აწარმოვა 19.700 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ბრიგადის წევრებს პრემიის სახით ერგებათ 3.933 მანეთი, რაც არ არის გაცემული. ამ მეურნეობაში სხვა სახის უხეშ დამახინჯებასაც ჰქონდა ადგილი.

ნალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში შეფასება აიღეს სატარიფო განაკვეთის 113 პროცენტის ანგარიშზე ნაცვლად 125 პროცენტისა. ეს აშკარად ეწინააღმდეგება საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების დებულების მოთხოვნებს. ასეთი დამახინჯების დაშვება ყოველად გაუმართლებელია.

იმის გამო, რომ მემცენარეობის უმრავლეს დარგებში პროდუქცია შემოდის არა ყოველთვიურად, არამედ გარკვეულ პერიოდებში, ხელფასის გაცემა პროდუქციისთვის წარმოებს მოსავლის აღებისა და შემოსავალში მისი გატარების შემდეგ. პროდუქციისათვის ანგარიშსწორებამდე მუშათა შრომის ანაზღაურება მემცენარეობაში წარმოებს შრომის ანაზღაურების პირდაპირი სანარდო სისტემით, დამტკიცებული სატარიფო განაკვეთებისა და გამომუშავების ნორმების საფუძველზე შესრულებული სამუ

კინოს ჯადოსნური თვალი

საფესტივალო მოსკოვის პირველი დღეები

კინოფესტივალის გული სასტუმრო „მოსკოვია“. აქ ცხოვრობენ ფესტივალის მონაწილენი, აქ არის პრესცენტრი, აქ არიან სტუმრები და 60-მდე ქვეყნის 400-ზე მეტი ჟურნალისტი.

ჟურნალისტები თითქმის სჯარბობენ ფესტივალის მონაწილეებს. დადიან, დაეძებენ „გმირიელ საკბილოს“.

კვირას, ფესტივალის დაწყების წინ, ერთი ასეთი ამბავი მოხდა. პრესცენტრში ცნობა მიიღეს, დღის 2 საათზე ლოლიტა ტორეზი ჩამოდის და თავისი ახალი ფილმი მოაქვსო. ჟურნალისტები შერომეტიევოს აეროდრომს მიაწყდნენ. ლონდონიდან ჩამოფრენილ თვითმფრინავს 200-ზე მეტმა ფოტორეპორტიორმა „დაუმიზნა“ თავისი აპარატი... მაგრამ ლოლიტა არ ჩამოფრენილა. როგორც ამბობენ, იგი 11 ივლისს უნდა ჩამოვიდეს მოსკოვში.

მოსკოვის III საერთაშორისო კინოფესტივალში ლათინური ამერიკის მხოლოდ ორი ქვეყანა — კუბა („თორმეტი სკამი“, რეჟისორი ტომას გუტიერე ალეა) და მექსიკა („ზოდიაქოს ნიშნები“, რეჟისორი სერხილ ვეხარი) მონაწილეობს. თუ ლოლიტა ჩამოვიდა და თავისი ახალი სურათი ჩამოიტანა, არგენტინა ფესტივალის მონაწილე ლათინური ამერიკის მესამე ქვეყანა იქნება.

კვირას პრესცენტრის საგანგებო ბიულეტენს გარდა გამოვიდა ყოველდღიური ჟურნალის „ფესტივალის თანამგზავრის“ პირველი ნომერი.

„ფესტივალის თანამგზავრის“ ცნობით მოსკოვის III საერთაშორისო კინოფესტივალი ყველაზე ხალხმრავალი თავყრილობაა 1932 წლის ვენეციის I საერთაშორისო კინოფესტივალის დღიდან (იმ ფესტივალზე ერთ-ერთი I პრემია ხვდა საბჭოთა სურათს „ცხოვრების საგზური“).

22 ივლისამდე ფესტივალის დღეებში მოსკოვში გამოვა სქელტანიანი წიგნი, რომელშიც აღნიშნული იქნება ყველა ის ჯილდო, პრემია და პრიზი, რაც კი საბჭოთა ფილმებს მიუღიათ 1932 წლიდან დღემდე.

ვნახოთ, ამჯერად ვის ელის გამარჯვება!

სრულმეტრაჟიანი ფილმების ჟიურის (18 ქვეყნის 13 წარმომადგენელს) უფლება აქვს პირდაპირ მიანიჭოს პრემიები.

რა ელით გამარჯვებულებს?

ყველაზე საუკეთესო ფილმს — დიდი პრიზს...

იმ სურათებს, რომლებსაც თვალსაჩინო მხატვრული ღირებულება აქვთ, მიენიჭებათ ოქროსი (სამი) და ვერცხლის (სამი) პრიზები. ჟიური ვერცხლის პრიზებს მიანიჭებს აგრეთვე საუკეთესო სცენარის, რეჟისორის, ოპერატორული ნამუშევრისა და მხატვრული გაფორმებისათვის, ქალთა და მამაკაცთა როლების საუკეთესო შესრულებისათვის.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჟიუორი (8 ქვეყნის 8 წარმომადგენელი) გადაწყვეტს ვინ მიიღოს შემდეგი ჯილდოები: ერთი ოქროს პრიზი — კონკურსის ყველაზე საუკეთესო ფილმს, ვერცხლის პრიზები (სამი) თითო-თითო ყველაზე საუკეთესო დოკუმენტურ, მეცნიერულ-პოპულარულ და მულტიპლიკაციურ ფილმებს.

მსოფლიოს ყველა ქვეყანას უფლება ჰქონდა ფესტივალზე წარმოედგინა ერთი სრულმეტრაჟიანი და ერთიც მოკლემეტრაჟიანი ფილმი. დღევანდელი ცნობით, ფესტივალში მონაწილეობს მსოფლიოს 55 ქვეყანა.

საკონკურსო მოკლემეტრაჟიან ფილმებს აჩვენებენ კინოს ცენტრალურ სახლში. აქვე ფოიეში მოწყობილია დიდი გამოფენა (სადაც ოცი განყოფილებაა), რომელიც დამთვალიერებლებს მოუთხრობს 400 მხატვრულ, 200 დოკუმენტურ და მეცნიერულ-პოპულარულ საბჭოთა ფილმებზე.

ყოველ შუადღისას საფესტივალო სასტუმროში ჟურნალისტებს ეპატიჟებიან ფესტივალის მონაწილე ქვეყნების მრავალფერი დროშები, ალისფერ ტილოებს კი რუსულად, ინგლისურად და ფრანგულად აწერია ფესტივალის დევიზი „კინოხელოვნებაში ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისათვის“.

ეი მთავარი მიზანი და აზრი მოსკოვის III საერთაშორისო კინოფესტივალისა.

მაყურებელმა კრემლის ყრილობათა სასახლეში და კინოს ცენტრალურ სახლში უკვე რამდენიმე სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმი ნახა — „იცნობდეთ, ბალუევია“ (სსრკ), „ნეაპოლის ოთხი დღე“ (იტალია), „ბიჭები“ (ფინეთი), „მოლოდინის ნაპირი“ (რუმანი), „ლამაზი ოჯახი“ (დანია), „ერთი ბრძოლის ისტორია“ (კუბა) და „ქვირტები“ (იაპონია). ორი უკანასკნელი მოკლემეტრაჟიანი ფილმია.

ფესტივალზე წარმოდგენილი თითქმის ყველა ფილმი ადამიანის ბედზე მოგვითხრობს, — თქვა იტალიელმა რეჟისორმა, მხატვრული ფილმების კონკურსის ჟიურის წევრმა სერჯიო ამადეიმ, — კინოხელოვნების ჯადოსნურ თვალს არაფერი არ გამოეპარება, თუ ოსტატს გული ადამიანის სიყვარულით აქვს გამთბარი. რაც შეიძლება უკეთ გაიცნონ ადამიანებმა ერთმანეთი, რაც შეიძლება მეტად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ეიზენშტეინთან ამადეისთან ერთად რამდენიმე რეჟისორს შევხვდით.

ეი რა თქვა ჩვენთან საუბარში რეჟისორმა ვ. კომისარჟევსკიმ, რომლის ფილმი „იცნობდეთ, ბალუევია“ პირველ სურათად აჩვენეს ფესტივალის გახსნის დღეს:

— როცა ძალიან კარგ ადამიანს შეხვდები, ბუნებრივია განშორება გიჭირს. ეი რატომ გადავწყვიტე ვ. კოტეენიკოვის მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მოთხრობის მთავარ გმირთან „ნაცნობობის გახანგრძლივება“ კინემატოგრაფიული გზით. უკვე ბალუევი მარტო როდია. ბალუევთან ერთად მოთხრობის არაერთი კეთილი და კარგი ადამიანი ცხოვრობს.

ჩემი აზრით, ინსცენირებასა და ეკრანიზაციას წარუმატებლობა ელის, თუ ლიტერატურული ნაწარმოები მექანიკურად გადავიტანეთ თეატრის ან კინოს „ტერიტორიაზე“. ნაწარმოები რამდენადმე ხელახლა უნდა დაიბადოს თვისებრივად ახალი, კინემატოგრაფიული აზროვნების კანონების მიხედვით. თქვენი გაზეთის მკითხველებისათვის უთუოდ საინტერესო იქნება, რომ ჩვენი ფილმის საგრძნობი ნაწილი, ლენინგრადსა და კიევს გარდა, თბილისის ახლო-მახლო გადავიღეთ.

ჩვენს საუბარს ესწრებოდა აგრეთვე ახალგაზრდა ფინელი რეჟისორი, „ბიჭების“ ავტორი მიკი ნისკანენი, რომელსაც განთალება მოსკოვში მიუღია. მან თავისი ფილმით თითქმის საკვეყნოდ განაცხადა: კაცობრიობამ ადარასოდეს არ უნდა ნახოს ომი, პატარა ბიჭებმა მუდამ უღრუბლო მზეს უნდა უყურონ.

ირანელი რეჟისორის სიასამის ფილმი „მოლოდინის ნაპირი“ ზღვაზე და ადამიანებზე მოგვითხრობს. ზღვა ამსხვრევს ლუკმა-პურის საძებნელად შორს წასული ადამიანების ოცნებებს, ფიქრებსა და სიყვარულს.

გუშინ, 9 ივლისს, ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა ზედიზედ სამი საკონკურსო ფილმი ნახეს — „თორმეტი სკამი“ (კუბა, ილფოსა და პეტროვის ცნობილი წიგნის მიხედვით), „საკორწინო წრე“ (ინდოეთი), „სალადინი“ (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა).

სამი ფილმი — ადამიანთა სამი ახალი სამყარო კინოს ჯადოსნურმა თვალმა მთელი სიგრძე-სიგანით და სიღრმით დაგვანახვა.

რეჟისორმა თომას გუტიერე ალეამ „თორმეტი სკამის“ შინაარსი დღევანდელი კუბის ცხოვრებას მიუსადაგა. მოქმედება ძირითადად ჰავანაში ხდება. რეჟისორმა ადო კარმა თავისი ფილმით ახალგაზრდა ინდოელი მასწავლებლის გულში ჩაგვახედა, ბოლო იუსუფ შახინის ფილმი „სალადინი“ მე-12 საუკუნეში ჯვაროსანთა წინააღმდეგ არაბთა ბრძოლის რამდენიმე გმირულ ეპიზოდზეა აგებული.

საკონკურსო ფილმების ჩვენება ყრილობათა სასახლეში დღის 3 საათზე იწყება. სამ საათამდე კი ფესტივალის მონაწილენი და სტუმრები, როგორც წესი, მოსკოვს ეცნობიან, განიხილავენ ნახულ ფილმებს.

როგორც ცნობილია, წინა, მოსკოვის II საერთაშორისო კინოფესტივალის დროს (1961 წ.) გამართული დისკუსიის თემა იყო „ხელოვანი და დრო“, ამჯერად კი სადისკუსიო თემაა — „კინო და პროგრესი“. წინ თითქმის 2 კვირაა, ყოველ ახალ დღეს კი რაიმე ახალი მოაქვს.

მოსკოვი დღეს მსოფლიო კინოხელოვნების დედაქალაქია, სადაც სასიკეთოდ ტრიალებს კინოს ჯადოსნური თვალი.

ბ. გოგიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მოსკოვი, 9 ივლისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ბადიროვას** მარსა დამდი ყზის — დიასახლისს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელი არჯევან-სარგანი.
2. **პაპავას** ოლოა ნიკოლოზის ასულს — კოლმეურნეობა „ოთხარის“ წევრს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გუდაუთის რაიონი.
3. **სურმანიძეს** თენნილი ზექერიას ასულს — კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრს, აჭარის ასს რესპუბლიკის ხულოს რაიონი.
4. **ტოროსიანს** ჩინარ ალეკის ასულს — დიასახლისს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელი ბურნაშეთი.
5. **ტურშიევას** ვართანუშ აკოფის ასულს — მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, თეთრი წყაროს რაიონი.
6. **წურწუმიას** თალიკო ჯონდოს ასულს — დიასახლისს, ცხაკაიას რაიონის სოფელი თეკლათი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1963 წლის 9 ივლისი.

მშვიდობისმოყვარული ახალი ნაბიჯი

ათენი, 8 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის ახალი მშვიდობისმოყვარული ნაბიჯი — ასე ახასიათებს გაზეთი „ავგი“ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ბერლინში გამართულ მიტინგზე წამოყენებულ წინადადებას, რომ დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსური სივრცეში და წყალქვეშ, აგრეთვე თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის. ამ შეთანხმებათა დადება, წერს გაზეთი, უდიდესი წვლილი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

საბჭოთა კავშირი, აცხადებს გაზეთი, თავისი მშვიდობის პოლიტიკითა და კონკრეტული წინადადებებით მშვიდობის სასარგებლოდ ამაგრებს მშვიდობის განმტკიცების ტენდენციებს და ძნელ მდგომარეობაში აყენებს იმათ, ვინც მთელი ძალებით ცდილობს ხელი შეუშალოს ამ საქმეს.

დე გოლის მთავრობის წინააღმდეგ

პარიზი, 9 ივლისი (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა, რომელიც გრენობლში გამოვიდა, განაცხადა, რომ საჭიროა კომუნისტებისა და სოციალისტების გაერთიანებული მოქმედება დე გოლის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში“. თუ კომუნისტთა და სოციალისტთა ერთობა გაფართოვდება და განმტკიცდება, — თქვა მან, — ყველა მრწამსის დემოკრატები მათ მხარეზე აღმოჩნდებიან დე გოლის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, და ეს იმის ფასადო პერსპექტივას შექმნის, რომ დამყარდეს ნამდვილი დემოკრატია“.

ფაჟონმა აღნიშნა, რომ კომუნისტებმა და სოციალისტებმა ერთად უკვე დიდი წარმატებანი მოიპოვეს: მათ არჩევნებში გაიმარჯვეს მთავრობის ბევრ კანდიდატზე, მხარი დაუჭირეს მუშახტათა დიდ გაფიცვას, დაიცვეს ფრანკოს მსხვერპლნი, ხმა მისცეს დე გოლისა და ადენაუერის ხელშეკრულების წინააღმდეგ და სხვ.

ამასთან დაკავშირებით, განაგრძო მან, არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი საერთო პროგრამის შემუშავებას, რომლის განხორციელებასაც ხვალ ერთად დავიწყებთ, აგრეთვე ერთიანი მოქმედების მძლავრად გაშლას დღესვე“.

ფაჟონმა გააკრიტიკა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელსაც მიაჩნია, რომ „გაერთიანებული მოქმედება ამჟამად შეუძლებელია ამა თუ იმ პრობლემის გამო უთანხმოების შედეგად“. საჭიროა ერთად ავიცილოთ თავიდან სერიოზული საფრთხე, ხაზი გაუსვა ორატორმა, რომელიც მთელის მუშათა კლასსა და დემოკრატიულ თავისუფლებებს. „არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი გაერთიანებულ მოქმედებას რომელზეც დამოკიდებულია საერთო ხსნა“.

პროტესტის ნიშნად

რომი, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც პესკარიდან იუწყებიან, იქ გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ლეონეს მთავრობამ გადაწყვიტა განუსაზღვრელი ვადით გადადოს იტალიის წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემების განხილვა.

დემონსტრაციია დამთავრდა გრანდიოზული მიტინგით, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ვიტორიო ფოამ.

დიდი ბრიტანეთის პროტექტორად სვაზილენდში (სამხრეთი აფრიკა) მშრომელთა საყოველთაო გაფიცვაა. ისინი ხელფასის მომატებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ. მბაბანეში გაიმართა გაფიცულთა მასობრივი დემონსტრაცია და მიტინგი.

სურათზე: გაფიცულთა დემონსტრაცია.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ქართი ხალხის დასაცავად

ქენია, 8 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იუწყება:

დღეს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს სესიაზე ს. ა. ბორისოვმა სესიის თავმჯდომარეს ა. პატენოს გაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციას, რომელიც ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის რეზოლუციით გენოციდის დანაშაულის შესახებ, საბჭოს განსახილველად შეაქვს, როგორც დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი, დღის წესრიგის დამატებითი საკითხი „გენოციდის პოლიტიკა, რომელსაც ერაყის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს ქურთი ხალხის წინააღმდეგ“.

წერილთან ერთად სესიის სამდივნოს პატენოსათვის გადაეცა სსრ კავშირის დელეგაციის მემორანდუმი ამ საკითხზე, აგრეთვე მემორანდუმისათვის დართული პროექტი ეკონომიური და სოციალური საბჭოს რეზოლუციისა გენოციდის პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ერაყის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს ქურთი ხალხის წინააღმდეგ. რეზოლუციის ეს პროექტი გადაჭრით გმობს ერაყის მთავრობის მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. პროექტი შეიცავს მტკიცე მოწოდებას ერაყის მთავრობისადმი „დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყველა საომარი ოპერაცია ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ“.

ს. ა. ბორისოვმა სთხოვა ა. პატენოს გააგზავნოს სსრ კავშირის დელეგაციის მემორანდუმი და რეზოლუციის პროექტი ეკონომიური და სოციალური საბჭოს ახლანდელი სესიის ოფიციალურ დოკუმენტებად.

საბჭოთა დელეგაცია, ითვალისწინებს რა, რომ საკითხს, რომელიც მთელი ხალხის ბედს ეხება, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და გადაუდებელია, ამჟამად კვლავ მთელი სიმტკიცით აყენებს საკითხს გენოციდის პოლიტიკის შესახებ, რასაც ერაყის ხელისუფლები ახორციელებენ, აყენებს იმ მიზნით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანომ — ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ დაგზოს გენოციდის აქტი ერაყში და მოსთხოვოს ერაყის მთავრობას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს სამარცხვინო მოქმედება.

ახალი პროვოკაციები

ბერლინი, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარების სამხედრო მოსამსახურეებმა დასავლეთ ბერლინში პროვოკაციები მოაწყვეს უკანასკნელ დღეებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰელმწიფო საზღვარზე პოტსდამის ოლქში. როგორც საგენტო აღნიშნავს, პროვოკაციები უშუალოდ მოაყვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის ვიზიტს დასავლეთ ბერლინში.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეებმა 3 ივლისს განსაკუთრებით დიდი პროვოკაცია მოაწყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე დასავლეთ ბერლინის შტაინშტიუკენის რაიონიდან. ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მესაზღვრეებს ავტომატი დაუშინეს და დაანგრიეს სასაზღვრო ნაგებობანი. ამერიკელი ჯარისკაცები ცრემლსადენი აირის ბომბებს აგდებდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მესაზღვრეთა თავდაჭერილობის წყალობით ამ პროვოკაციას და სხვა პროვოკაციებს არ მოჰყოლია მძიმე შედეგები.

მეგობრობის მშენებლობებზე

კონაკრი, 8 ივლისი. (საკდესი). ამ დღეებში გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ, გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრებმა, გვინეის რესპუბლიკის მთავრობის მინისტრებმა დაათვალიერეს ობიექტები, რომელთა მშენებლობა გვინეაში საბჭოთა კავშირის დახმარებით ხორციელდება.

ობიექტების დათვალიერება დაიწყეს დედაქალაქის ნავსადგურის მაცივრიდან. ეს არის მსხვილი თანამედროვე საწარმო, რომელიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. მაცივარი მიმდინარე წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ.

გვინეელმა ხელმძღვანელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს დონკის რაიონში მშენებარე პოლიტექნიკური ინსტიტუტისადმი, რომელიც გათვალისწინებულია 1.500 სტუდენტისათვის. ეს არის დასავლეთ აფრიკაში უმსხვილესი სპეციალიზებული სასწავლებელი. დათვალიერების დროს საბჭოთა მშენებლებმა და მასწავლებლებმა უპასუხეს პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების მრავალ შეკითხვას.

გვინეის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა დათვალიერეს ამავე რაიონში მშენებარე სასპორტო კომპლექსი და მთავარი არენა, რომელიც გათვალისწინებულია 25 ათასი მაყურებლისათვის. სეკუ ტურე და მისი თანმხლები პირები იყვნენ აგრეთვე სასტუმროს მშენებლობაზე.

არჩევნები არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 9 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ი. ხილბერტი იტყობინება: წინასწარი მონაცემებით, პრეზიდენტობის კანდიდატის საყოველთაო არჩევნებში, რომელიც 7 ივლისს გაიმართა, „ხალხის სამოქალაქო — რადიკალური კავშირის“ პარტიის კანდიდატმა არტურო ილიამ მიიღო 2.317 ათასი ხმა. 476 ხმიდან რესპუბლიკის პრეზიდენტის ამრჩევთა კოლეგიაში იგი მიიღებს 169 ხმას.

ვარაუდობენ, რომ ხალხის სამოქალაქო-რადიკალური კავშირის“ პარტია ბლოკს შეკრავს ზოგიერთ სხვა პარტიასთან, რათა უზრუნველყოს არტურო ილიას გამარჯვება.

გუშინ არტურო ილიამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეასრულოს წინასაარჩევნო პროგრამა. „მე გავაუქმებ კონტრაქტებს ჩრდილოეთ ამერიკის ნავთობის კომპანიებთან“, — ხაზი გაუსვა მან. არტურო ილიამ თქვა, რომ თუ სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას გამოაცხადებს ყველა პოლიტიკური პატიმრის ამნისტიას.

გადადგა სირიის თავდაცვის მინისტრი

ბეიროუთი, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს დამასკოში გამოქვეყნდა სირიის „რევოლუციური საბრძოლობის ეროვნული საბჭოს“ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი ზიად ჰარირი გადაყენებულია თავისი პოსტებიდან. 8 ივლისს დილადარიან ჰარირმა დატოვა დამასკი და ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში გაემგზავრა.

გენერალი ჰარირი სირიის 1963 წლის 8 მარტის სახელმწიფო გადატრიალების ხელმძღვანელი იყო. მაშინ არმიის ნაწილები, რომლებიც განლაგებული იყვნენ სირიის სამხრეთ ფრონტში და რომლებსაც იგი მეთაურობდა, ჰალეპ აზიმის მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. შეიქმნა სალვიბთარის კაბინეტი, სადაც ზიად ჰარირიმ თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა. შემდეგში უცნოეთის პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა ცნობები კონფლიქტის შესახებ ბაასის პარტიასა, რომელმაც ფაქტიურად მთელი ძალაუფლება სირიაში ხელი იგდო. და გენერალ ჰარირის შორის. როგორც ზ. ჰარირი ალეპოში იმყოფებოდა სირიის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც ს. ბითარი მეთაურობდა, სირიის „რევოლუციური საბრძოლობის ეროვნულმა საბჭომ“ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვა ჰარირის მომხრე რამდენიმე ათეული ოფიცერი. დამასკოში დაბრუნებულმა ჰარირიმ მოითხოვა გაეუქმებინათ ეს გადაწყვეტილება და ამავე დროს წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც ეხებოდა მთავრობის შემადგენლობას და მის პოლიტიკურ ორიენტაციას. ბაასის პარტიისა და ზიად ჰარირის ჯგუფის ურთიერთობაში შექმნილმა ამ კრიზისმა გამოიწვია მისი გადაყენება არმიიდან და გაძევება ერაყიდან.

პოლიციამ სცემა კორესპონდენტებს

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საკდესი). გუშინ სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქ საიგონში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ამერიკელ ფოტოკორესპონდენტებს, რომლებიც ბუდისტების რელიგიურ ცერემონიას იღებდნენ, სცემეს სამხრეთ ვიეტნამის საიდუმლო პოლიციის სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა თანამშრომლებმა. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, დაახლოებით 20 კაცი თავს დაესხა ფოტოკორესპონდენტებს და ჭვები დაუშინა. ასოშიეიტედ პრესის საკენტოს ერთ-ერთი კორესპონდენტი წაიკვლიეს, მეორეს კი ფოტოაპარატი გაუტეხეს ქვით.

აფეთქება ქარხანაში

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს კენედის (ნიუ-ჯერსის შტატი) „ჰერკულეს პაუდერის“ კომპანიის ერთ-ერთ ქარხანაში, რომელიც ასაფეთქებელ ნივთიერებებს ამზადებს, ძლიერი აფეთქება მოხდა. აფეთქების ტალღამ ხუთი მილის რადიუსით ფანჯრის მინები ჩაამსხვრია სახლებში.

ამერიკის საგენტოები იუწყებიან, რომ კომპანიის ადმინისტრაცია საიდუმლოდ ინახავს დახოცილთა და დაშავებულთა რიცხვს. ქარხნის ალაყაფის კარებთან გაძლიერებული დაცვა დგას.

კომუნისტი
მე-8 გვერდი, ოთხშაბათი,
10 ივლისი, 1963 წ.

მარგარეტ რასელი: აღგვაფრთოვანა

საქართველომ!

„აღგვაფრთოვანა საქართველომ, მისმა ხალხმა, მის მიერ მოპოვებულმა შესანიშნავმა წარმატებებმა“, — განაცხადა მარგარეტ რასელმა — ორგანიზაციის — „ქალებო, იცრძოლეთ მშვიდობისათვის!“ ხელმძღვანელის მოადგილემ, ამერიკის შეერთებული შტატების იმ ქალთა ფედერაციის მოადგილემ, რომლებიც მოსკოვში გამართული ქალთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ. ეს აზრი მან გამოთქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში.

დელეგაციის წევრმა, ამერიკის შეერთებული შტატების ფერადკანიან ქალთა კლუბების ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბილი ეშბმ ხაზგასმით აღნიშნა: საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ აქ „მთლიანად გადაჭრილია ეროვნული პრობლემა“. „თქვენს ქვეყანაში, — დასძინა ქ-ნმა ეშბმ, — როდი განასხვავებენ თეთრკანიან და ფერადკანიან ადამიანებს“.

გუშინ, 9 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა წარმომადგენლები ესტუმრნენ ბავშვებს, რომლებიც წყნეთში ისვენებენ რკინიგზელთა პიონერულ ბანაკში. ბავშვებმა უამბეს სტუმრებს, თუ რა წარმატებანი აქვთ სწავლაში, საზოგადოებრივ მუშაობაში, თუ როგორ ატარებენ საზაფხულო არდადეგებს.

ამადელეგები იყო დელეგაციის წევრთა შეხვედრა ბავშვებთან. თქვენი დედები ბედნიერი უნდა იყვნენ, რადგანაც თქვენ ესოდენი ზრუნვით ხართ გარემოსილი, ამბობდნენ კონგრესის დელეგატები.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა წარმომადგენლები დიდი ინტერესით გაეცნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებს.

ნაშუადღევს სტუმრებმა დაისვენეს თბილისის ზღვაზე. მათ პატივსაცემად საქართველოს საბჭოთა ქალების რესპუბლიკურმა კომიტეტმა გამართა დარბაზობა. მარგარეტ რასელმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა ქართველ ქალებს გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის.

9 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ქალები სოჭს გაემგზავრნენ.

(საკდესი).

გაფიცვები, პროტესტები

ლიბერია

გაიფიცა ამერიკელთა კომპანია „ფაირსტოუნის“ კაუჩუკის პლანტაციების 10 ათასი მუშა, რომლებიც ხელფასის მომატებას. კომპანიის კაუჩუკის ქარხანა დახურვის პირას არის მისული.

კოლუმბია

ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდება დაბზოვეული კომპანია „კოლუმბიანა სეგუროსის“ მოსამსახურეთა გაფიცვა. ისინი პროტესტს აცხადებენ პოლიციური თვითნებობის წინააღმდეგ. მეოთხე კვირაა გაფიცვას განაგრძობენ ამერიკელთა კომპანია „პატო კონსოლიდეიტედის“ მაღაროელები, რომლის ადმინისტრაცია უარს ამბობს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი.

დამთავრდა კომპანიების „კოლუმბიან პეტროლეუმ კომპანისა“ და „ინტერნეიშნლ პეტროლეუმ კომპანის“ კოლუმბიელ მენავთობე მუშათა გაფიცვა. მუშებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას, აგრეთვე მეწარმეთაგან სხვა ეკონომიურ დათმობებს.

მენავთობეთა გამარჯვების დიდი მნიშვნელობა აქვს კოლუმბიის მთელი მუშათა მოძრაობისათვის: მათ დაიცვეს გაფიცვის უფლება.

ნორვეგია

ავტობუსის მძღოლებისა და ავტობუსის პარკების მუშათა გაფიცვა, რომელიც სამ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა დამთავრდა მშრომელთა გამარჯვებით. ავტობუსის კომპანიათა მფლობელნი იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ გაფიცულთა მოთხოვნები და მოემატებინათ მათთვის ხელფასი.

ფილიპინები

ორ თვეს მიმდინარეობდა მანილის დოკერთა გაფიცვა. გაფიცულნი ხელისუფალთაგან მოითხოვდნენ კოლექტიური ხელშეკრულების დადებას. მანილის ნავსადგურში დაგროვდა ბევრი გადმოუტვირთავი გემი. (საკდესი).

რა მოხდა „რაშიდის“ ბანაკში

თეირანი, 8 ივლისი (საკდესი). ერაყიდან ირანის დედაქალაქში ჩამოსულ პირთა ნაამბობი შუქს ფენს იმ ამბებს, რაც 2 ივლისს ღამით მოხდა „რაშიდის“ სამხედრო ბანაკში ბაღდადის ახლოს. ამ პირთა ნაამბობი ამხილებს ერაყის „კომუნისტური შეთქმულებისა“ და იმის შესახებ, რომ იდუმალმა „შეთქმულებამ“ სცადეს ხელში ჩაეგდოთ ბანაკი. ბაასისა, რომელსაც გულმოდგინედ აკრიტიკებს ბაღდადის რადიო და პრესა.

მოლევარება „რაშიდის“ ბანაკში, ამბობენ თვითმხილველნი, გამოიწვია იმან, რომ ამ ბანაკში განლაგებული ჯარის ნაწილის ჯარისკაცებმა უარი თქვეს შეესრულებინათ სარდლობის ბრძანება იმის შესახებ, რომ ისინი გაეგზავნათ ჩრდილოეთში, ქურთების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. რამდენადაც ბანაკის ნაწილი გადაქცეულია საპყრობილედ, სადაც ჰყავთ ათასობით პატიმარი, რომლებიც ბაასისტმა ხელისუფლებმა შეიპყრეს 8 თებერვლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ჯარისკაცებმა გაათავისუფლეს დაპატიმრებულნი და განაიარაღეს ბაასისტთა ეროვნული გვარდიელები, რომლებიც ბანაკს იცავდნენ.

დამფრთხალმა სამხედრო სარდლობამ „რაშიდის“ ბანაკში გიგზავნა ბაღდადის რაიონში განლაგებული სხვა სამხედრო ბანაკებიდან სატანკო ნაწილები, აგრეთვე ეროვნული გვარდიის მრავალი ქვეგანაყოფი. ტანკებმა ცეცხლი დაუშინეს აჯანყებულ ჯარისკაცებს. რამდენიმე საათის განმავლობაში ბანაკის ტერიტორიაზე გრძელდებოდა სროლა და შეიარაღებული

რეპერტუარი და ხელოვნება

ზღაპრულ სამყაროში

ჟ. ოფენბახის ოპერა „ჰოფმანის ზღაპრები“ — ბაქოს მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლი

საინტერესო და მრავალფეროვანია ბაქოს მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საგასტროლო რეპერტუარი, რომელიც თბილისში სრულდება. გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორების საუკეთესო ეროვნულ ოპერებთან და საბალეტო ნაწარმოებებთან ერთად თეატრი თბილისელებს უჩვენებს დასავლეთევროპული და რუსული კლასიკის ნიმუშებსაც. ბაქოელმა მეგობრებმა შეასრულეს ფრანგი კომპოზიტორის ჟაკ ოფენბახის ოპერა „ჰოფმანის ზღაპრები“. „ჰოფმანის ზღაპრებმა“, რომელიც 1881 წელს პირველად დაიდგა პარიზში, გაუძლო დროის გამოცდას და ამჟამად მსოფლიოს ბევრ თეატრალურ სცენაზე ყღერს. რა არის მიზეზი, რომ ეს ოპერა ასე უჭკნობი და მიმზიდველია?

უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, კომპოზიტორის ნიჭი. მსმენელი ადვილად აღიქვამს ოპერის მუსიკის საუცხოო ლირიკულ მელოდიას, მოქმედ პირთა ნათელ, გონებამახვილურ პარტიტურულ დახასიათებებს, ფერებისა და რიტმების ცვლას. საინტერესოა აგრეთვე ორიგინალობა ოპერის სიუჟეტური აღნაგობისა, რომელიც ჟ. ბარბიერ მიერ შედგენილია ჰოფმანის ნოველების მოტივების მიხედვით.

ნიურნბერგის ერთ-ერთ სამიკიტნოში, მეგობრების მოკრიამულე კომპანიაში, ოპერის ძირითადი გმირი, ახალგაზრდა პოეტი ჰოფმანი ჰყვება თავის სამიჯნურო თავგადასავალს. „ჰოფმანის ზღაპრები“ სამი დამოუკიდებელი საოპერო მინიატიურაა, ეს არის ცხოვრებაში განცდილი. სიყვარულის სამი ზღაპარი. ისინი გაერთიანებულია პროლოგით, რომელიც 1-ლ აქტს შეადგენს, და დასკვნითი სურათით, რომელიც ეპილოგს წარმოადგენს. რომანტიკოს ჰოფმანის პარტიას, კომპოზიტორის მიერ ესოდენ უხვად და მკაფიოდ დახასიათებულს, ასრულებს რუსეთელიკის დამსახურებული არტისტი რ. ატაკიშიევი. მომღერალს აქვს ლამაზი ტემბრის რბილი ლირიკული ტენორი, მკაფიო, ნათელი დიქცია, გამომეტყველი ფრაზა — როგორც ვოკალური, ისე სასაუბრო. მსახიობმა მუსიკალურად და დამაჯერებლად შეასრულა თავისი გმირის ყველა სცენა. შესანიშნავად ყღერდა კუპლეტები კლეინზაკის შესახებ, რომლებსაც რ. ატაკიშიევი ასრულებს გუნდის თანხლებით. ამ შემთხვევაში გუნდი ჰოფმანის მხიარული ახალგაზრდა მეგობრების კომპანიაა. სადავო და გაუგებარია გუნდის სცენიური სტატიკურობა, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ უდარდელ და დარდმანდ ახალგაზრდებს ფეზზემდგომთ და უმოძრაოდ შეეძლოთ მოისმინონ ჰოფმანის ესოდენ დიდი გულახდილი და ინტიმური საუბარი.

დამდგმელ-რეჟისორს ბობ მასინის ოპერაში შეუტანია ბევრი ცვლილება, ბევრი თავისი კორექტივი, მათ შორის ნაკლებად ვამართლებული გაყოფა მეორე აქტისა ორ სურათად (ეპიზოდი ოლიმპიასთან). მომხიბლავი თოჯინის ოლიმპიას პარტიას ასრულებდა მსახიობი რაგულინა. თოჯინის სცენურ ქცევაში მოძრაობათა ავტომატურობა, პარტიის ვოკალური მოხახაზის მაღალი ტესიტურა და ტექნიკური სირთულე შემსრულებელს დიდ მოთხოვნებს უყენებს. რაგულინას ოლიმპია სასიამოვნოა გარეგნობითაც, სცენური განსახიერებითაც, ვოკალური ინტერპრეტაციითაც.

ოპერის მეორე გმირი ქალის ანტონიას პარტიას ასრულებდა რუსეთელიკის დამსახურებული არტისტი ნ. ვასილევსკაია. მომღერლის დიდი ლამაზი. მკაფიო ლაღი ხმა ზოგჯერ რამდენადმე ჭარბად ხალისიანი გვეჩვენება სათუთი, ნაზი ანტონიასათვის, რომელსაც განწირულობისა და ნაღვლის ბეჭედი აზის. მომღერალმა დიდი განწყობილებით შეასრულა რომანსი „გაფრინდა მტრედი“. გულთბილად და კარგად შეწყობილი ხმებით შეასრულეს ნ. ვასილევსკაიამ და რ. ატაკიშიევმა ლირიზმით აღსავსე სცენა შეხვედრისა და შესანიშნავი დუეტი „სიმღერა ჩვენი სიყვარულისა“..

ჰოფმანის ახალგაზრდა მეგობრის ნიკლაუსის პარტიას ჩვეულებრივად ასრულებს მეცო-სოპრანო. ასეთია კომპოზიტორის მიერ მოცემული ვოკალური დახასიათება ამ სახისა. სპექტაკლის ავტორებს აქაც თავიანთი კორექტივი შეუტანიათ: სპექტაკლში ნიკლაუსის პარტიას ასრულებდა ტენორი, მსახიობი ა. აირინანი. მსახიობს სასიამოვნო ლირიკული ტენორი აქვს, სცენაზე თავისუფლად უჭირავს თავი, ვოკალური ინტერპრეტაციის მუსიკალობას აჩენს, და მისი ბრალი არ არის, თუ კუპლეტებმა „თოჯინას და მამლაყინწას შეაახებ“. ისევე როგორც ბარკაროლამ ჯულიეტასთან დუეტში, ხმის ხასიათის შეცვლის გამო, რამდენადმე დაკარგა სილამაზე და ჰარმონიულობა ტემბრულ ყღერაში.

ჰოფმანის მესამე ზღაპრის გმირის ჯულიეტას პარტიას ასრულებდა რუსეთელიკის დამსახურებული არტისტი ი. კარასევა. ამ პარტიის ძირითადი ვოკალური ეპიზოდია შესანიშნავი და ფრიად ჰოპულარული ბარკაროლა-დუეტი ნიკლაუსთან „ბომბიბლავი ღამე“. მომღერალმა გვიჩვენა ვოლშიჩამწვდომი, სასიამოვნო ხმა. ოპერა „ჰოფმანის ზღაპრების“ დრამატურგიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ხაზია, ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი იდეაა ფანტასტიკური აზრი ბოროტი ძალის, ბოროტი ბედისწერის შესახებ, რომელიც სდევნის ჰოფმანს და აუცილებლად მიჰყავს იგი დიდ იმედგაცრუებამდე და მძიმე განცდებამდე. ეს ერთიანი ბოროტი ძალა გამოხატულია სხვადასხვა სახით. სამოკტნოში ეს არის ლინდორფი, ოლიმპიასთან სცენაში — კოპელიუსი, ანტონიას სახლში — მირაკლი, ჯულიეტასთან ეპიზოდში — დაპერტუტო. ყველა ამ პერსონაჟს ასრულებს ერთი მსახიობი — მოცემულ სპექტაკლში კი რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ვ. პოპჩენკო. მსახიობმა გვიჩვენა სახეთა ცვლის უნარი და პროფესიული ვოკალური მონაცემები. დანარჩენი პარტიების შემსრულებლებმა: სპალანცანისა — ფ. მეხტიევმა, ფრანცისა — ი. მამედოვმა, კრუპელისა — გ. სიროვატკინმ და სხვებმა კარგი ანსამბლურობის მიღწევით ხელი შეუწყეს სპექტაკლის წარმატებას.

თუ სპექტაკლის სცენური გადაწყვეტა ჩვენი შეხედულებით რამდენადმე სადავოა, არ შეიძლება ჯეროვანი არ მივუზღოთ თეატრის მთელ საშემსრულებლო კოლექტივს, რომელსაც ბევრი ძალა და ენერგია მოუხმარებია ამ დიდი, რთული და შესანიშნავი ნაწარმოების ათვისებისათვის.

მ. ბაქრაძე.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან. ჰოფმანი — რ. ატაკიშიევი, ანტონია — ნ. ვასილევსკაია. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩვენი პლანეტის ამინდი

ივლისი შუა ზაფხულია. ივლისის პირველი დღეები სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ოლქებში შემოდგომის დღეებს უფრო ჰგავს: ცა მოღრუბლულია, წვიმს და ცივა. ასეთი ამინდი მოაქვს ციკლონს, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა აქ ფეხი. მისი არაჩვეულებრივი აქტივობა იმით აიხსნება, რომ ბარენცის ზღვიდან სიცივის ახალ-ახალი ნაკადები შემოიჭრა.

ტემპერატურა ცენტრალურ ზოლში ისეთივეა, როგორც ბარენცის ზღვისა და თეთრი ზღვის სანაპიროზე — დაახლოებით 12 გრადუსი სითბო. სიცივის ტალღამ ვოლგას, ურალის განტოტებებსა და ყაზახეთის დასავლეთ რაიონებს მიაღწია.

ამავე დროს ბალტიის-პირეთისა და ბელორუსიაში თბილი, მზიანი ამინდია. უკრაინაში, ყირიმსა და კავკასიაში კი ცხელა, თერმომეტრი დაახლოებით 30 გრადუსს უჩვენებს. კავკასიონის მთისწინეთსა და ყირიმში წვიმები მოვიდა, ზოგან სეტყვაც. ჩვეულებრივად წყალმცირე მდინარე სალგირკა ნაპირებიდან გადმოვიდა.

მერყეევი ამინდი 30 გრადუსი ტემპერატურით, ხანმოკლე წვიმებითა და ელჭექით დგას სამხრეთ ყაზახეთსა და შუა აზიაში, სადაც ყურძნის საადრეო ჯიშები დამწიფდა. თბილა და მშრალობაა დასავლეთ ციმბირში.

უახლოეს დღეებში მერყეევი ამინდი ხანმოკლე წვიმებითა და ელჭექით მოსალოდნელია ჩვენი ქვეყნის ევროპულ ტერიტორიაზე; თბილი ამინდი — დასავლეთ და სამხრეთ ოლქებში. უხვი თბილი წვიმები იქნება ყაზახეთსა და დასავლეთ ციმბირის სამხრეთ ნაწილში.

ხშირი წვიმები იყო აღმოსავლეთში — ამურის ოლქსა და ხაბაროვსკის მხარეში. აქეთ გადმოინაცვლა ციკლონმა.

ამინდი შეიცვალა ყირიმსა და კავკასიონიაშიც. ცა მოიღრუბლა, წვიმები მოვიდა. ინტენსიურად, ამატომ წყნარი ოკეანის სანაპიროზე სიცხემ იკლო. მუსონით გამოწვეული კოკისპირული წვიმები გრძელდება აზიის მატერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ცხელა ინდო-ჩინეთსა და ინდოეთში, სადაც ხშირია ელვა და ჭექა-ქუხილი.

ხშირი ელჭექია ფლორიდაშიც და ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილშიც. პრერიებში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია ნებრასკის შტატში. წვიმები მოვიდა თავისუფლების კუნძულზეც — კუბაზე.

საჰარაში თერმომეტრი 40 გრადუსზე მეტს აჩვენებს. აფრიკის მშრალმა ცხელმა ჰაერმა ხმელთაშუა ზღვიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და იტალიაშიც შეაღწია. აქ ტემპერატურა 37 გრადუსს აღწევს. იგივე ამბავია დასავლეთ ევროპის შემთხვევები. საბედნიეროდ, [illegible] ამინდი [illegible] ტემპერატურის [illegible] ლონდონში.

30 გრადუსამდე აიწია ტემპერატურამ უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიის სამხრეთ ნაწილში. ბრიტანეთის კუნძულებზე, საფრანგეთში, ჰოლანდიასა და ბელგიაში კი ცა მოღრუბლულია, წვიმს და თბილა.

დედამიწის ზურგზე ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღნიშნულია ანტარქტიდის სიღრმეში — 60 გრადუსამდე ყინვა. სანაპიროზე ძლიერი ქარბუქია. შუა ზამთარია ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. გრილა, ცა მოღრუბლულია, წვიმს.

ვ. ჩერნოვა,
პროგნოზების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ქრონიკა

ტურნირი ლოს-ანჟელოსში

ლოს-ანჟელოსი, 9 ივლისი. (საკადესი). რვა გროსმაისტერის შეჯიბრების მეოთხე ტურში მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის ლიდერის ს. გლიგორიჩისა (იუგოსლავია) და პ. ბენკოს (ამერიკის შეერთებული შტატები) შეხვედრა. ამერიკელმა გროსმაისტერმა სტარტზე სამი დამარცხება განიცადა, და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ყოველ ახალ ტურში სულ უფრო მრისხანე ხდება მეტოქეებისათვის.

მართლაც, გლიგორიჩს, რომელიც დებიუტის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, დიდი ძალღონის დაძაბვა მოუხდა, რათა უკუეგდო კრიზისულ მომენტში წარმოქმნილი სახიფათო მუქარები. როცა დფაზე თითო ეტლი, კუმხედარი და ექვს-ექვსი პაიკი დარჩა, მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

არგენტინელმა მ. ნაიდორფმა თეთრებით ძლიერად წარმართა პარტია ს. რეშევსკის (ამერიკის შეერთებული შტატები) წინააღმდეგ. შესვენებისათვის ეტლების ენდშპილში ნაიდორფმა შეინარჩუნა ორი ზედმეტი პაიკი.

ხუთი საათის განმავლობაში უაღრესი ინტერესი გამოიწვია პ. კერესის შეხვედრამ ისლანდიელ ფ. ოლაფსონთან, რომელიც თეთრებით თამაშობდა. პარტიის დასკვნითს ნაწილში ოლაფსონი იძულებული იყო ელვისებურად ეთამაშა. მან ორ წუთში რვა სვლა გააკეთა. მიუხედავად ამისა გამჭრიახმა მოჭადრაკემ შეძლო თავი დაეცვა კერესის უძლიერესი შეტევისაგან და მატერიალურად გათანაბრა მდგომარეობა. პარტია გადაიდო.

დაახლოებით თანაბარ პოზიციაში 48-ე სვლაზე შეწყდა არგენტინელი ო. პანოს პარტია მსოფლიოს ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არის გლიგორიჩი, რომელმაც 2,5 ქულა მოაგროვა.

რუმინელი წყალბურთელები თბილისში

გუშინ თბილისს ეწვია რუმინეთის წყალბურთელთა ნაკრები კოლექტივი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება.

სტუმართა გამოსვლები თბილისში დიდ ინტერესს იწვევს. პირველი მატჩი რუმინეთისა და საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებ კოლექტივებს შორის შედგება დღეს თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში.

მინსკის „დინამოს“ ახალი წარმატება

გუშინ მინსკში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ალმა-ატის „კაირატის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. მინსკელებმა წარმატებით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

ამრიგად, მინსკის დინამოელებმა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადინაცვლეს, 17 თამაშიდან მათ 23 ქულა აქვთ. ლიდერია მოსკოვის „დინამო“ (16 თამაშიდან 24 ქულა). მესამე ადგილზეა ცსკა (16 თამაშიდან 22 ქულა), მეოთხეზე — დონის როსტოვის სკა (16 თამაშიდან 21 ქულა), მეხუთეზე — თბილისის „დინამო“ (16 თამაშიდან 21 ქულა).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს გუნდები — ლიდერები

გრძელდება რესპუბლიკათა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

პირველ ზონაში წინ არის ბათუმის „დინამო“ (12 თამაშიდან 19 ქულა), მეორე ადგილზეა რუსთავის „მეტალურგი“ (12 თამაშიდან 17 ქულა), მესამეზე — კიროვაბადის „დინამო“ (11 თამაშიდან 16 ქულა), მეოთხეზე — ლიპეცკის „ზვეინიეკი“ (11 თამაშიდან 14 ქულა), მეხუთეზე — სოხუმის „დინამო“ (11 თამაშიდან 13 ქულა).

მეორე ზონაში პირველობას არავის უთმობს თბილისის „ლოკომოტივი“ (11 თამაშიდან 17 ქულა). მომდევნო ორ ადგილზე არიან ლენინაკანის „შირაქი“ და ფოთის „კოლხიდა“. პირველს 11 თამაშიდან 15 ქულა აქვს, მეორეს — ამდენივე თამაშიდან 14 ქულა.

ხალხური ტალანტები

პროფკავშირული თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერების შედეგები

საქართველოს პროფსაბჭომ შეაჯამა რესპუბლიკის თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები. პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა ქორეოგრაფიული ანსამბლი, სოხუმის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ტყიბულელ მეშახტეთა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ზუგდიდის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირთა, თბილისის საქალაქო ტრანსპორტის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ვოკალური ანსამბლი. ეს კოლექტივები რეკომენდებული არიან თვითმოქმედი კოლექტივების სრულიად საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობისათვის.

პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოებული არიან აგრეთვე მესტიის რაიონის განათლების მუშაკთა პროფკავშირის გუნდი, ქალაქ ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და მასწავლებლის სახლის გუნდი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მოცეკვავეთა ანსამბლი, თელავის მასწავლებლის სახლის გუნდი.

პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ აღნიშნული კოლექტივების ხელმძღვანელები, აგრეთვე ინდივიდუალური შემსრულებლები: ქუთაისელი მოცეკვავე დ. უშვერიძე, მომღერალი გ. თუთბერიძე, წამკითხველი შ. ჯაფარიძე, თბილისელები — წამკითხველი მ. ეხვაია, მომღერალი გ. შოშიაშვილი და სხვები.

მეცენატი რიგი კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები, ინდივიდუალური შემსრულებლები დაჯილდოებული არიან მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით. (საქდესი).

ჩანმრთელობის კერა

ახალი საავადმყოფო ლენინის რაიონში

ლენინის რაიონში გუდამაყრის ქუჩას რომ აუყვებით, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს სამსართულიან თეთრ შენობათა გრძელი წყება. აქ სულ ორიოდე დღეა გაიხსნა ახალი, მე-8 კლინიკური საავადმყოფო. ნათელ, ფართო სამკურნალო კორპუსებში განლაგებულია სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით აღჭურვილი კაბინეტები, ლაბორატორიები, პალატები, ლამაზად, მყუდროდ მოწყობილი ავადმყოფთა დასასვენებელი ფოიეები. ჯანმრთელობის დაცვის ახალმა დაწესებულებამ უკვე მიიღო პირველი პაციენტები.

საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმ შალვა ჭალაგანიძესთან ერთად, რომელიც ამ საავადმყოფოს მთავარი ექიმია, ვათვალიერებთ ჯანმრთელობის ახალ კერას.

— ჩვენი საავადმყოფო 400 საწოლზეა გაანგარიშებული, — გვეუბნება იგი. — თუმცა ჯერ ყველა პალატა არ არის დაკავებული, რადგან ავადმყოფების მიღება მხოლოდ გუშინ დავიწყეთ, მაგრამ იმედია ჩვენს ექიმებს სულ მალე მთელი დატვირთვით მოუხდებათ მუშაობა.

საავადმყოფოში ამჟამად 8 განყოფილებაა. ორი ქირურგიული, ამდენივე თერაპიული და ყელ-ყურ-ცხვირის, ერთი ნევროლოგიური და ერთიც ყბა-სახის ქირურგიის განყოფილება. საავადმყოფოს ბაზაზე მუშაობს ქირურგიის კლინიკა (ხელმძღვანელი პროფესორი გ. ხუნდაძე), თერაპიის კლინიკა (ხელმძღვანელი პროფესორი გ. მზეიძე), ნევროლოგიის კლინიკა (ხელმძღვანელები პროფესორები ნ. ფოფხაძე და ა. მინდაძე). ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკას ხელმძღვანელობს პროფესორი ს. ხეჩინაშვილი და ყბა-სახის ქირურგიის კლინიკას პროფესორი ა. ედიბერიძე. ეს კლინიკები საუკეთესო ბაზაა სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების მსმენელთა მომზადებისათვის. საავადმყოფოში მუშაობენ აგრეთვე გამოცდილი ექიმები დოცენტები გ. ცანავა, ნ. მეგრელიშვილი, ექიმები რ. ღვამიჩავა, გ. ჯანხოთელი, ო. აბულაძე, ვ. კიკვიძე და სხვები.

განყოფილებასთან არის სათანადო ლაბორატორიები — კლინიკა-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური, არის აგრეთვე გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური კაბინეტები.

ყურადღებას იქცევს ავადმყოფთათვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი პალატები. აქ არის უმეტესად ერთ, ორ და სამსაწოლიანი ოთახები, საწოლებთან მოწყობილია რადიო, სასიგნალო, ოთახებში არის ცხელი და ცივი წყალი.

ორ სამკურნალო კორპუსს გარდა საავადმყოფოს აქვს სამეურნეო კორპუსი, მექანიკური სამრეცხაო და ბაღი.

* * *

სურათზე: ახალი კლინიკური საავადმყოფო ლენინის რაიონში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მარიამ გულავკა თითებით ხედავს

გოგონა ხედავს! ხედავს... თითების ბოლოებით, როგორც ნიენტაგელი როზა კულეშოვა. მაგრამ თუ როზასათვის ეს, ასე ვთქვათ, მეორე მხედველობაა, მუკაჩევოს უსინათლო და სუსტი მხედველობის ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მეოთხე კლასის მოსწავლე მარიამ ბულავკასათვის ეს ერთადერთი მხედველობაა.

გოგონას დიდი უბედურება დაატყდა. გაცივების შემდეგ მან მხედველობა დაკარგა. ოდესმე, ფილატოვის კლინიკაში სამჯერ გაუკეთეს ოპერაცია. მაგრამ უშედეგოდ.

გოგონას თანატოლები უკვე მეოთხე კლასს ამთავრებდნენ. მაშას არ უნდოდა ჩამორჩენოდა მათ. ასე მოხდა მუკაჩევოს სკოლაში. მასწავლებლები ამჩნევდნენ, რომ გოგონა კარგად კითხულობს, უშეცდომოდ იწერს წინადადებებს, არჩევს ნახატების ფერებს. ამას მხედველობის ნაშთებად თვლიდნენ.

ბოლის ექიმმა — ოკულისტმა ივანე ფოტანმა ყურადღებით გასინჯა გოგონა და გამოარკვია, რომ იგი მკაფიო შუქსაც კი ვერ ხედავს. ჩაშინ სკოლის პედაგოგებს დაებადათ აზრი, რომ მარიამ ბულავკას არაჩვეულებრივად მგრძნობიარე თითები აქვს. მაგრამ დასკვნების გამოტანას როდი ჩქარობდნენ.

მაგრამ დადგა დრო, და მაშას უნარი ფენომენალური გახდა. იგი თავისუფლად კითხულობს თითებით დ სწორად არჩევს ფერებს.

ვსევოლდ ვედინი,
საგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტი.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას I კურსზე 1963-1964 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილება

1. რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა; 2. ქართული ენა, ლიტერატურა და მუსიკა; 3. რუსული ენა, ლიტერატურა და მუსიკა; 4. ბიოლოგია-გეოგრაფია (რუსული სექტორი); 5. ბიბლიოთეკათმცოდნეობა (ქართული სექტორი); 6. რუსული ენა და ლიტერატურა; 7. ისტორია (რუსული სექტორი); 8. მათემატიკა (რუსული სექტორი); 9. ქიმია (რუსული სექტორი); 10. ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართული სექტორი); 11. დაწყებითი განათლების მეთოდიკა (ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სექტორები).

საღამოს განყოფილება

1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. რუსული ენა და ლიტერატურა; 3. დაწყებითი განათლების მეთოდიკა (რუსული სექტორი); 4. ისტორია (ქართული სექტორი); 5. ბიბლიოთეკათმცოდნეობა (ქართული სექტორი); 6. მათემატიკა (ქართული სექტორი); 7. გეოგრაფია (ქართული სექტორი);

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს სპეციალობების მიხედვით აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. რუსული ენისა და ლიტერატურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა. ზეპირი)*, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა)*, უცხო ენაში*, სსრკ ისტორიაში.

2. ისტორიის; ბიბლიოთეკათმცოდნეობის; დაწყებითი განათლების მეთოდიკის სპეციალობებზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)*, სსრკ ისტორიაში*, უცხო ენაში.

3. ქართული ენისა და ლიტერატურის; რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)*, უცხო ენაში*, სსრკ ისტორიაში.

4. ქართული ენის, ლიტერატურისა და მუსიკის; რუსული ენის, ლიტერატურისა და მუსიკის სპეციალობებზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)* უცხო ენაში*, სსრკ ისტორიაში.

ამ სპეციალობებზე შემსვლელნი გაივლიან წინასწარ შემოწმებას მუსიკაში.

5. მათემატიკის; ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის სპეციალობებზე — მათემატიკაში (წერა, ზეპირი)*, ფიზიკაში*, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), უცხო ენაში.

6. ბიოლოგიისა და გეოგრაფიის, ქიმიის სპეციალობებზე — ქიმიაში*, ფიზიკაში*, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), უცხო ენაში.

7. გეოგრაფიის სპეციალობაზე — გეოგრაფიაში*, მათემატიკაში (წერა, ზეპირი)*, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), უცხო ენაში.

საღამოს განყოფილებაზე შემსვლელნი თავისუფლდებიან უცხო ენაში მისაღები გამოცდების ჩაბარებისაგან, იმ სპეციალობის გარდა, სადაც უცხო ენა მაპროფილებელი დისციპლინაა.

* მაპროფილებელი საგნები აღნიშნულია ვარსკვლავით.

ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის სპეციალობაზე მიიღებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

მასწავლებლები, რომლებიც პროფილის შესაბამისი სპეციალობით მუშაობენ, საღამოს განყოფილებაზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

განცხადება მიღების შესახებ შეაქვთ რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, დამოწმებული პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციებისაგან; დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი); ავტობიოგრაფია; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. ფოტოსურათი (ზომა 3×4 სმ); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; კოლმეურნეობათა წევრები წარმოადგენენ კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ დამოწმებულ ამონაწერს კოლმეურნის წიგნაკიდან იმის ჩვენებით, რომ კოლმეურნეობაში მუშაობის ორი წლის განმავლობაში თვითეულ წელს მათ მიერ გამომუშავებულია ამ კოლმეურნეობებისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი.

საბუთების შეტანისას შემსვლელი პირადად წარმოადგენს: პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: ა. ჯავახიძის პროსპექტი, № 32.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

10 ივლისი

ფილარმონიის საზაფხულო — ვანჟა ორიკოს (ბრაზილია) კონცერტი ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით.

ტელევიზია

10 ივლისი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — კინონარკვევი, 18.45 — გადაცემა „სტუდენტები პრაქტიკაზე“, 19.00 — კინოჟურნალი, 19.10 — საუბარი „დიდი ქიმიის პერსპექტივები“, 19.25 — ბაქოს ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის „ქოროღლის“ ტრანსლაცია. ტრანსლაციის შემდეგ — ახალი ამბები.

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საბამორო და საზაფხულო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **კომკავშირელი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, გაზაფხული, კოსმოსი** — სამი მუშეტერი (I-II სერია), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი, ნაკადული, მზიური** — ფრანგულ ბუხრებთან, **თბილისი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კოლმეურნე, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — არამზადების ბანდა.

რადიო

11 ივლისი

პირველი პროგრამით

06.40 — ნ. სვანიძე. ზღაპარი ფორტეპიანოსათვის, 08.25 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ქართული საფორტეპიანო მუსიკა, 11.15 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი, 12.10 — აჭარის რადიოს გადაცემა, 12.25 — ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერიდან“, 13.40 — ქართული სიმღერები, 17.15 — მსუბუქი მუსიკა, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. სატოკი. „ბარილიანი კლდეების მიწა“ (გადაცემა მეორე), 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — დ. ბაშკიროვის კონცერტი, 19.30 — გამოსვლები, შთაბეჭდილებები, აზრები, გეგმები, 20.15 — დ. თორაძე. ოპერა „ნრდილოეთის პატარძალი“ (მონტაჟი), 23.30 — ლირიკული სიმღერები კინოფილმებიდან.

თელავის დაუსწრებელი საშუალო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1963-1964 სასწავლო წლისათვის

დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მიიღებიან 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომელთაც სურთ მიიღონ საშუალო განათლება.

დაუსწრებელ საშუალო სკოლაში ჩარიცხულები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით **სარგებლობენ შემცირებული სამუშაო დღის** ან **შემცირებული სამუშაო კვირის** უფლებით. ამ დადგენილებით მოსწავლე, რომელსაც სწავლაში **დადებითი** შეფასება ექნება, სასწავლო წლის განმავლობაში თავისუფლდება 36 სამუშაო დღით ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის 50 პროცენტის შენარჩუნებით.

გარდა ამისა, **გამოცდების პერიოდში დამატებითი შვებულება ეძლევა:** მერვეკლასელებს — 8, ხოლო მეთერთმეტეკლასელებს 20 სამუშაო დღის ოდენობით **ხელფასის შენარჩუნებით.**

**დაუსწრ